საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლით სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის საწყის საფასურს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნის შესაბამისად განსაზღვრული საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ის ოდენობით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია მუნიციპალიტეტის საკრებულომ განსაზღვროს ამფითეატრის სარგებლობის ქირა 0-დან 1 საათამდე 200 (ორასი) ლარის ოდენობით, 1-დან 3 საათამდე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, 3 საათის ზემოთ 700 (შვიდასი) ლარის ოდენობით, ხოლო სარეპეტიციო დრო 1 საათი 10 ლარის ოდენობით.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქ.ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირი N279-ში მდებარე ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე განთავსებულ ამფითეატრზე საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

მიღებულია განკარგულება N23

(განკარგულება თან ერთვის)

8. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 18 მაისის N114-11422138199 მომართვა - ქ.ქობულეთში, თავისუფლების ქუჩა N13-ში მდებარე 1024.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 1177 კვ.მ შენობა-ნაგებობის (ს/კ N20.42.06.241) გასხვისებაზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემის შესახებ - მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დავით ვერულიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 12 მაისის N-366 განკარგულების ,,სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ თანახმად, ქობულეთის მუნიციპალიტეტს ძირითადი ქონების სახით, საკუთრებაში გადმოეცა ქ. ქობულეთში, თავისუფლების ქუჩა N13-ში მდებარე 1176 კვ.მ შენობა ნაგებობა და მასზე დამაგრებული 1024,4 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის მუნიციპალური სამსახურის განთავსების მიზნით, გადმოცემული ქონება საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული იქნა საკადასტრო კოდით 20.42.06.241. დღეის მდგომარეობით ზემოხსენებულ უძრავ ქონებას დაეკარგა ის ფუნქციური დანიშნულება, რა მიზნითაც იგი იყო გადმოცემული ქობულეთის მუნიციპალიტეტზე, ვინაიდან სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის მუნიციპალური სამსახური გამოყვანილი უნდა იქნას აღნიშნული შენობიდან და იგი ფუნქციონირებას გააგრძელებს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოყოფილ სხვა შენობაში, კერძოდ ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა N140გ-ში მდებარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შენობის პირველ სართულზე არსებულ 241.45 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართში (20.42.05.943.01.510, ყოფილი არქივი). ქ. ქობულეთში, თავისუფლების ქუჩა N-13-ში მდებარე 1177 კვ.მ შენობა ნაგებობა და მასზე დამაგრებული 1024,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარეობს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილას, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. შენობა არის მოძველებული ტიპის უსახური ნაგებობა და ქალაქის ტურისტული განვითარების თვალსაზრისით, საჭიროა მისი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლამაზი ნაგებობით ჩანაცვლება, რომელიც საინტერესო იქნება როგორც ტურისტულად, ასევე, ქალაქის იერსახისთვის. ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობისა და ქალაქის განვითარების მიზნით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ქ. ქობულეთში, თავისუფლების ქუჩა N13-ში მდებარე 1177 კვ.მ შენობა

ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 1024,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განკარგვა პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თანამედროვე ტიპის მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობის, მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით. საკითხი განხილული იქნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის, განკარგვის ფორმებისა და პირობების განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის 2021 წლის 17 სექტემბრის სხდომაზე (ოქმი N-01-11/9, გადაწყვეტილება N-1) და მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ქ. ქობულეთში, თავისუფლების ქუჩა N13-ში მდებარე 1177,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 1024,0 კვ.მ შენობა-ნაგებობა (ს/კ N20.42.06.241) პრივატიზებული იქნას პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდგომში მრავალფუნქციური ობიექტის განთავსების მიზნით. ზემოხსენებული უძრავი ქონება (ს/კ 20.42.06.241) წარმოადგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ძირითად (განუსხვისებელ) ქონებას და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მისი გასხვისება შესაძლებელია მხოლოდ ფუნქციური დანიშნულების შეცვლისა და საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, ხოლო ფასი განისაზღვრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 ოქტომბრის N49 განკარგულებით.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქ.ქობულეთში, თავისუფლების ქუჩა N13-ში მდებარე 1024.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 1177 კვ.მ შენობა-ნაგებობის (ს/კ N20.42.06.241) ფუნქციური დანიშნულების შეცვლისა და გასხვისებაზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

მიღებულია განკარგულება N24

(განკარგულება თან ერთვის)

9. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 06 მაისის N114-1142212694 მომართვა--ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ

მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე არსებული 38.0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართზე (ს/კ 20.33.01.084) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ ,,მ. ცეცხლაძე“) - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლაშა ხახუტაიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 2020 წლის 18 აგვისტოს ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და ფ/პ მერაბ ცეცხლაძეს შორის გაფორმდა N01-45/167 საიჯარო ხელშეკრულება, რომლის თანახმად ფ/პ მერაბ ცეცხლაძეს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაეცა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე არსებული 38,0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (ს/კ N20.33.01.084), სავაჭრო ობიექტის ფუნქციონირების მიზნით. ხელშეკრულების თანახმად, წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 800 (რვაასი) ლარის ოდენობით. აღნიშნულ საიჯარო ხელშეკრულებას გაუვიდა მოქმედების ვადა და მერაბ ცეცხლაძე ითხოვს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებას. აღნიშნული განცხადება განხილული იქნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის, განკარგვის ფორმებისა და პირობების განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომაზე და კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია (2022 წლის 12 აპრილის N01-11/3 ოქმის მე-19 საოქმო გადაწყვეტილება) ფ/პ მერაბ ცეცხლაძეს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით გადაეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე არსებული 38,0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (ს/კ N20.33.01.084), სავაჭრო ობიექტის ფუნქციონირების მიზნით.

ლაშა ხახუტაიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი განხილული იქნა კომისიის სხდომაზე, კომისის წევრებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ ქობულეთის სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე არსებული 38.0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართზე (ს/კ 20.33.01.084), ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემა 1 წლის ვადით, ხოლო წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 800 (რვაასი) ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

მიღებულია განკარგულება N25

(განკარგულება თან ერთვის)

10.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 07 მაისის N114-114221272 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე არსებული 10.0 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართზე (ს/კ 20.33.01.084), ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ ,,მ.პაპუნაიშვილი“) - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლაშა ხახუტაიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 2019 წლის 03 დეკემბერს ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და ფიზიკური პირი მეგი პაპუნაიშვილს შორის გაფორმებული იქნა N01-45/321 საიჯარო ხელშეკრულება, რომლის თანახმად მოიჯარე მხარეს 2 (ორი) წლის ვადით, იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაეცა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე არსებული 10,0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (ს/კ N20.33.01.084), სილამაზის სალონის ფუნქციონირების მიზნით. ხელშეკრულების თანახმად, წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 330 (სამასოცდაათი) ლარის ოდენობით. საიჯარო ვადის ამოწურვის გამო, მეგი პაპუნაიშვილი ითხოვს ზემოხსენებული ფართის იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემას სილამაზის სალონის ფუნქციონირების მიზნით. აღნიშნული განცხადება განხილული იქნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის განკარგვის ფორმებისა და პირობების განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის 2022 წლის 12 აპრილის სხდომაზე და კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია (N01-11/3 ოქმის მე-16 საოქმო გადაწყვეტილება) განმცხადებლის თხოვნის დაკმაყოფილება და პირდაპირი განკარგვის წესით 2 (ორი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე მდებარე 10,0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის (ს/კ N20.33.01.084) იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემა, სილამაზის სალონის ფუნქციონირების მიზნით. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას შესაძლებლად მიაჩნია ზემოხსენებული უძრავი ქონების წლიური საიჯარო საფასურის ოდენობა განისაზღვროს 330 (სამასოცდაათი) ლარის ოდენობით.

ლაშა ხახუტაიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე, კომისის წევრებს შენიშვნები არ გააჩნიათ და მიზანშეწონილად მიაჩნიათ ქობულეთის სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე არსებული 10.0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართზე (ს/კ 20.33.01.084), ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემა 1 წლის ვადით, ხოლო წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 330 (სამასოცდაათი) ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

მიღებულია განკარგულება N26

(განკარგულება თან ერთვის)

11. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 09 მაისის N114-114221298 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე არსებული 6.0 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართზე (ს/კ 20.33.01.084), ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ „ნ.ანანიძე“) - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლაშა ხახუტაიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 2019 წლის 03 დეკემბერს ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და ფიზიკური პირი ნინო ანანიძეს შორის გაფორმებული იქნა N01-45/320 საიჯარო ხელშეკრულება, რომლის თანახმად მოიჯარე მხარეს 2 (ორი) წლის ვადით, იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაეცა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე არსებული 6,0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (ს/კ N20.33.01.084), სავაჭრო ობიექტის ფუნქციონირების მიზნით. ხელშეკრულების თანახმად, წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 200 (ორასი) ლარის ოდენობით. საიჯარო ვადის ამოწურვის გამო,

ნინო ანანიძე ითხოვს ზემოხსენებული ფართის იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემას სავაჭრო ობიექტის ფუნქციონირების მიზნით. აღნიშნული განცხადება განხილული იქნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის განკარგვის ფორმებისა და პირობების განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის 2022 წლის 12 აპრილის სხდომაზე და კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია (N01-11/3 ოქმის მე-18 საოქმო გადაწყვეტილება) განმცხადებლის თხოვნის დაკმაყოფილება და პირდაპირი განკარგვის წესით 2 (ორი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე მდებარე 6,0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის (ს/კ N20.33.01.084) იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემა, სავაჭრო ობიექტის ფუნქციონირების მიზნით. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას შესაძლებლად მიაჩნია ზემოხსენებული უძრავი ქონების წლიური საიჯარო საფასურის ოდენობა განისაზღვროს 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

ლაშა ხახუტაიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე, კომისის წევრებს შენიშვნები არ გააჩნიათ და მიზანშეწონილად მიაჩნიათ ქობულეთის სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე არსებული 6.0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართზე (ს/კ 20.33.01.084), ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემა 1 (ერთი) წლის ვადით, ხოლო წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 200 (ორასი) ლარის ოდენობით აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დაყენა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

მიღებულია განკარგულება N27

(განკარგულება თან ერთვის)

12. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 11 მაისის N114-11422131119 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ

მუხაესტატეში მდებარე 83.0 არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.33. 03.138) 12.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ ,,კ. მჟავანაძე“)- მოხსენება გააკეთა საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლაშა ხახუტაიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აღნიშნული მოქალაქის განცხადება განხილულ იქნა 2022 წლის 12 აპრილს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის, განკარგვის ფორმებისა და პირობების განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომაზე და კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია (N01-11/3 ოქმის მე-11 საოქმო გადაწყვეტილება) კაკალა მჟავანაძის თხოვნის დაკმაყოფილება და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.33.03.138) 12,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემა, ასაწყობი ტიპის სასაჩუქრე მაღაზიის განთავსების მიზნით. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას შესაძლებლად მიაჩნია ზემოხსენებული უძრავი ქონების წლიური საიჯარო საფასურის ოდენობა განისაზღვროს 360 (სამას სამოცი) ლარის ოდენობით.

საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე, კომისის წევრებს შენიშვნები არ გააჩნიათ და მიზანშეწონილად მიაჩნიათ სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83.0 არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.33. 03.138) 12.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემა 1 წლის ვადით, ხოლო წლიური საიჯარო საფასურის ოდენობა განისაზღვროს 360 (სამასსამოცი) ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

მიღებულია განკარგულება N28

(განკარგულება თან ერთვის)

13. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 11 მაისის N114-11422131123 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.33. 03.138) 10.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ ,,ი.ხახუტაიშვილი“) - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლაშა ხახუტაიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აღნიშნული განცხადება განხილული იქნა 2022 წლის 12 აპრილს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის, განკარგვის ფორმებისა და პირობების განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომაზე და კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია (N01-11/3 ოქმის მე-9 საოქმო გადაწყვეტილება) ირაკლი ხახუტაიშვილის თხოვნის დაკმაყოფილება და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.33.03.138) 10,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემა, პურის საცხობის განთავსების მიზნით. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას შესაძლებლად მიაჩნია ზემოხსენებული უძრავი ქონების წლიური საიჯარო საფასურის ოდენობა განისაზღვროს 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

ლაშა ხახუტაიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი განხილული იქნა კომისიის სხდომაზე, კომისის წევრებს შენიშვნები არ გააჩნიათ და მიზანშეწონილად მიაჩნიათ სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83.0კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.33. 03.138) 10.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემა 1 (ერთი) წლის ვადით, ხოლო წლიური საიჯარო საფასურის ოდენობა განისაზღვროს 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

მიღებულია განკარგულება N29

(განკარგულება თან ერთვის)

14. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 11 მაისის N114-11422131120 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.33.03.138) 20.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ ,,ნ. მჟავანაძე“) - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლაშა ხახუტაიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და ფიზიკური პირი ნინო მჟავანაძეს შორის 2021 წლის 01 თებერვალს გაფორმებულ იქნა N-01-25/13 საიჯარო ხელშეკრულება რომლის თანახმად ნინო მჟავანაძეს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, 1 (ერთი) წლის ვადით იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაეცა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს|კ 20.33.03.138) 20,0 კვ.მ მიწის ნაკვეთი სავაჭრო ჯიხურის განთავსების მიზნით. წლიური საიჯარო საფასური შეადგენდა 600 (ექვსასი) ლარს. საიჯარო ვადის ამოწურვის გამო, ნინო მჟავანაძემ მომართა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება 2 (ორი) წლის ვადით. აღნიშნული საკითხი განხილული იქნა 2022 წლის 12 აპრილს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის, განკარგვის ფორმებისა და პირობების განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომაზე და კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია (N01-11/3 ოქმის მე-13 საოქმო გადაწყვეტილება) ნინო მჟავანაძის თხოვნის დაკმაყოფილება და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.33.03.138) 20,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემა, სავაჭრო ჯიხურის განთავსების მიზნით. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას შესაძლებლად მიაჩნია ზემოხსენებული უძრავი ქონების წლიური საიჯარო საფასურის ოდენობა განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით.

ლაშა ხახუტაიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე, კომისის წევრებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.33.03.138) 20.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემა 1 წლის ვადით ხოლო საიჯარო თანხა განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

მიღებულია განკარგულება N30

(განკარგულება თან ერთვის)

15. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 16 მაისის N114-1142213679 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83.0 კვ.მ.არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.33.03.138) 5.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ ,,რ გორგილაძე“) - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლაშა ხახუტაიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და ფიზიკური პირი რუსუდან გორგილაძეს შორის 2021 წლის 01 თებერვალს გაფორმებული იქნა N-01-25/12 საიჯარო ხელშეკრულება რომლის თანახმად რუსუდან გორგილაძეს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, 1 (ერთი) წლის ვადით იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაეცა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს|კ 20.33.03.138) 5,0 კვ.მ მიწის ნაკვეთი სავაჭრო ჯიხურის განთავსების მიზნით. წლიური საიჯარო საფასური შეადგენდა 150 (ასორმოცდაათი) ლარს. საიჯარო ვადის ამოწურვის გამო, რუსუდან გორგილაძემ მომართა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება 2 (ორი) წლის ვადით. აღნიშნული საკითხი განხილული იქნა 2022 წლის 12 აპრილს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის, განკარგვის ფორმებისა და პირობების განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომაზე და კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია (N01-11/3 ოქმის მე-14 საოქმო გადაწყვეტილება) რუსუდან გორგილაძის თხოვნის დაკმაყოფილება და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

არსებული სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.33.03.138) 5,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემა, სავაჭრო ჯიხურის განთავსების მიზნით. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას შესაძლებლად მიაჩნია ზემოხსენებული უძრავი ქონების წლიური საიჯარო საფასურის ოდენობა განისაზღვროს 150 (ასორმოცდათი) ლარისოდენობით.

ლაშა ხახუტაიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე, კომისის წევრებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ მუხაესტატეში მდებარე 83.0 კვ.მ.არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.33.03.138) 5.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემა 1 (ერთი) წლის ვადით, ხოლო საიჯარო თანხა განისაზღვროს 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

მიღებულია განკარგულება N31

(განკარგულება თან ერთვის)

16.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 11 მაისის N114-1142213184 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყავროკას ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული 259.0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართზე (ს/კ 20.33.03.604), ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ ,,შ. ლაზიშვილი“) - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლაშა ხახუტაიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აღნიშნული მოქალაქის განცხადება განხილულ იქნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის განკარგვის ფორმებისა და პირობების განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის 2022 წლის 12 აპრილის სხდომაზე და კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია

(N01-11/3 ოქმის მე-8 საოქმო გადაწყვეტილება) განმცხადებლის თხოვნის დაკმაყოფილება და პირდაპირი განკარგვის წესით 1 (ერთი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ წყავროკას ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული 259,0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის (ს/კ N20.33.03.604) იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემა, ციტრუსის მიმღები პუნქტის განთავსების მიზნით. ასევე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას შესაძლებლად მიაჩნია ზემოხსენებული უძრავი ქონების წლიური საიჯარო საფასურის ოდენობა განისაზღვროს 3900 (სამიათას ცხრაასი) ლარის ოდენობით (საფუძველი: შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტი“-ს 2022 წლის 03 მაისის N177 დასკვნა). საკითხი განხილული იქნა კომისიის სხდომაზე, კომისის წევრებს შენიშვნები არ გააჩნიათ და მიზანშეწონილად მიაჩნიათ სოფელ წყავროკას ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული 259.0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართზე (ს/კ 20.33.03.604), ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემა 1 (ერთი) წლის ვადით, ხოლო წლიური საიჯარო საფასურის ოდენობა განისაზღვროს 3900 ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

მიღებულია განკარგულება N32

(განკარგულება თან ერთვის)

17.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 18 მაისის N114-11422138187 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) წლის ვადით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყავროკაში მდებარე 747.0 კვ.მ კვ.მ.არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ N20.33.03.605) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემის შესახებ - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლაშა ხახუტაიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის განკარგვის ფორმებისა და პირობების განსაზღვრის მიზნით შექმნილი

კომისიის 2022 წლის 12 აპრილის სხდომაზე და კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია (N01-11/3 ოქმის მე-26 საოქმო გადაწყვეტილება) ზემოხსენებული უძრავი ქონების საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიისთვის უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) წლის ვადით გადაცემა, მართლმადიდებლური ტაძრის მშენებლობის მიზნით. სსიპ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო“-ს 2022 წლის 17 მაისის N1/398 წერილით, მუნიციპალიტეტის მერიას ეცნობა დადებითი პოზიცია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ N20.33.03.605) საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიისთვის აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე. ლაშა ხახუტაიშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე, კომისიის წევრებს შენიშვნები არ გააჩნიათ და მიზანშეწონილად მიაჩნიათ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით,უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) წლის ვადით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყავროკაში მდებარე 747.0 კვ.მ კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ N20.33.03.605) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემა.

დავით მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ეკლესიის მშენებლობის საკითხს კეთილგანწყობით და დიდი სიხარულით შეხვდა სოფლის მოსახლეობა. ნამდვილად ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა-ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) წლის ვადით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყავროკაში მდებარე 747.0 კვ.მ კვ.მ.არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ N20.33.03.605) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

მიღებულია განკარგულება N33

(განკარგულება თან ერთვის)

18. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 16 მაისის N114-1142213664 მომართვა-ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბანში მდებარე 107.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ

20.49.01.203) საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლაშა ხახუტაიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი განხილული იქნა 2022 წლის 12 აპრილს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის, განკარგვის ფორმებისა და პირობების განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომაზე და კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია (N01-11/3 ოქმის მე-4 საოქმო გადაწყვეტილება) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ჩაისუბანში მდებარე 107,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 53,7 კვ.მ შენობა-ნაგებობის (ს/კ N20.49.01.203) პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზება, შემდგომში სწრაფი კვების ობიექტის განთავსების მიზნით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 34-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვრება არანაკლებ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის საფუძველზე დადგენილი ფასის ოდენობით.

აქედან გამომდინარე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას შესაძლებლად მიაჩნია ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბანში მდებარე 107,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 5400 (ხუთიათას ოთხასი) ლარის ოდენობით, ხოლო მასზე განთავსებული 53,7 კვ.მ შენობა-ნაგებობის (ს/კ 20.49.01.203) საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 18800 (თვრამეტიათას რვაასი) ლარის ოდენობით (შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტი“-ს აუდიტორული დასკვნა N177, 03.05.2022წ.).

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეთხოვა განსაზღვროს სოფელ ჩაისუბანში მდებარე 107,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 53,7 კვ.მ შენობა-ნაგებობის (ს/კ 20.49.01.203) საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობა. ასევე, საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმაში ზემოხსენებული უძრავი ქონების დამატება (ს/კ N20.49.01.203), რათა შემდგომში განიკარგოს პირობებიანი აუქციონის ფორმით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ლაშა ხახუტაიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე, კომისის წევრებს შენიშვნები არ გააჩნიათ და მიზანშეწონილად მიაჩნიათ სოფელ ჩაისუბანში მდებარე 107,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 5400 (ხუთიათას ოთხასი) ლარის ოდენობით, ხოლო მასზე განთავსებული 53,7 კვ.მ

შენობა-ნაგებობის (ს/კ 20.49.01.203) საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 18800 (თვრამეტიათას რვაასი) ლარის ოდენობით. ჯამში 24200 ლარი.

გურამ აბაშიძემ აღნიშნა, რომ აუდიტის მიერ წარმოდგენილი ფასი არის ძალიან მაღალი, სოფლის პირობაზე და მიუღებელია.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბანში მდებარე 107.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 20.49.01.203) საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 1 (გ.აბაშიძე)

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

მიღებულია განკარგულება N34

(განკარგულება თან ერთვის)

19. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 16 მაისის N114-1142213664 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 მაისის N61 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა“-ში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე (დამატება -ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბანში მდებარე 107.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 20.49.01.203) - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლაშა ხახუტაიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განხილული იქნა კომისიის სხდომაზე, კომისის წევრებს შენიშვნები არ გააჩნიათ და მიზანშეწონილად მიაჩნიათ საკრებულოს 2017 წლის 18 მაისის N61 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა“-ში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე, დაემატოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბანში მდებარე 107.0 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.49.01.203);

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 მაისის N61 განკარგულებით

დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა“-ში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე (დამატება -ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბანში მდებარე 107.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 20.49.01.203) საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 1 (გ.აბაშიძე)

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

მიღებულია განკარგულება N35

(განკარგულება თან ერთვის)

20.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 11 მაისის N114-11422131114 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბანში მდებარე 5027.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.39.04.075) 70.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ნაცვლად მოთხოვნილი 140.0 კვ.მ მიწის ნაკვეთის) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ ,,ხ.ბასილაძე“) - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლაშა ხახუტაიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 2019 წლის 29 ივლისს ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და ფიზიკური პირი ხათუნა ბასილიძეს შორის გაფორმებული იქნა N01-45/237 საიჯარო ხელშეკრულება, რომლის თანახმად მოიჯარე მხარეს იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაეცა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხუცუბანში მდებარე 5027,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.39.04.075) 15,0 კვ.მ მიწის ნაკვეთი, აფთიაქის ფუნქციონირების მიზნით. ხელშეკრულების თანახმად, წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით. საიჯარო ვადის ამოწურვის გამო, ხათუნა ბასილიძე ითხოვს სოფელ ხუცუბნის ცენტრში 140,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 10 (ათი) წლის ვადით იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემას აფთიაქის გაფართოების მიზნით. აღნიშნული განცხადება განხილული იქნა 2022 წლის 12 აპრილს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის, განკარგვის ფორმებისა და პირობების განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომაზე და კომისიამ მიზანშეწონილად

მიიჩნია (N01-11/3 ოქმის მე-5 საოქმო გადაწყვეტილება) ხათუნა ბასილიძის თხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილება და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ხუცუბანში მდებარე 5027,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.39.04.075) 70,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ნაცვლად მოთხოვნილი 140,0 კვ.მ მიწის ნაკვეთისა) 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემა, სავაჭრო ობიექტის გაფართოებისა და აფთიაქის ფუნქციონირების მიზნით. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას შესაძლებლად მიაჩნია ზემოხსენებული უძრავი ქონების წლიური საიჯარო საფასურის ოდენობა განისაზღვროს 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

ლაშა ხახუტაიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი განხილული იქნა კომისიის სხდომაზე, კომისის წევრებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ სოფელ ხუცუბანში მდებარე 5027.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.39.04.075) 70.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ნაცვლად მოთხოვნილი 140.0 კვ.მ მიწის ნაკვეთის) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემა 1 წლის ვადით, ხოლო საიჯარო თანხის ოდენობა განისაზღვროს 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

მიღებულია განკარგულება N36

(განკარგულება თან ერთვის)

21.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 11 მაისის N114-11422131117 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით ქ.ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N116-ის მიმდებარედ მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში არსებული 750.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.42.06.367) 40.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ ,,რ. ათაბაძე“) - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლაშა ხახუტაიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 2019 წლის 03 დეკემბერს ქობულეთის

მუნიციპალიტეტსა და ფიზიკური პირი რამაზ ათაბაძეს შორის გაფორმებული იქნა N01-45/322 საიჯარო ხელშეკრულება, რომლის თანახმად მოიჯარე მხარეს იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირი N116-ის მიმდებარედ მდებარე 750,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.42.06.367) 40 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ეთნოგრაფიული კუთხის მოწყობის მიზნით. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 3000 (სამიათასი) ლარის ოდენობით. საიჯარო ვადის დასრულების შემდგომ, რამაზ ათაბაძემ მიმართა მერიას განცხადებით და მოითხოვა საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება, სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე ეთნოგრაფიული კუთხის ფუნქციონირების მიზნით. აღნიშნული განცხადება განხილული იქნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის განკარგვის ფორმებისა და პირობების განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის 2022 წლის 12 აპრილის სხდომაზე და კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია (N01-11/3 ოქმის მე-6 საოქმო გადაწყვეტილება) განმცხადებლის თხოვნის დაკმაყოფილება და პირდაპირი განკარგვის წესით 1 (ერთი) წლის ვადით იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემა ქ. ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირი N116-ის მიმდებარედ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 750,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.42.06.367) 40,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის, ეთნოგრაფიული კუთხის მოწყობის მიზნით. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას შესაძლებლად მიაჩნია მოთხოვნილი უძრავი ქონების წლიური საიჯარო საფასურის ოდენობა განისაზღვროს 3000 (სამიათასი) ლარის ოდენობით.

ლაშა ხახუტაიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნიათ იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით ქ.ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N116-ის მიმდებარედ მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში არსებული 750.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.42.06.367) 40.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემა ეთნოგრაფიული კუთხის მოსაწყობად, ხოლო წლიური საიჯარო საფასურის ოდენობა განისაზღვროს 3000 (სამი ათასი).

მამია ჟორდანიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ტერიტორია არის ქალაქის ცენტრი და საიჯარო საფასური არის ძალიან დაბალი. იქნებ გვემსჯელა ფასის გაზრდაზე 5000 ლარამდე.

გიორგი გოგიტიძემ აღნიშნა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და რადგან საუბარი იყო ერთ წლიან იჯარაზე, მითუმეტეს, რომ მერიის წინ მოედნისთვის ახალი პროექტის შეძენა იგეგმება და სამომავლოდ მოიჯარეს აღნიშნული კუთხის აღება მოუწევს ამიტომ მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ ფასის მომატება.

დავით მჭედლიშვილმა აღნიშნულ საკითხზე, საკრებულოს წევრებს თავიანთი პოზიციის დაფიქსირებისკენ მოუწოდა.

ეკატერინე კოჭლამაზაშვილი - აღნიშნული ეთნოგრაფიული კუთხე არ არღვევს იერსახეს, მოწესრიგებული და სუფთა ადგილია. გასულ წლებში რადგან პანდემია იყო და ბიზნესიც ვერ ვითარდებოდა სათანადოდ, წელს დავუტოვოთ ეს ფასი რაც წარმოდგენილია.

ავთანდილ გოგიბერიძე - ვფიქრობ თანხა ცოტაა, მაგრამ რადგან ერთ წლიანია იჯარა დავტოვოთ, როგორცაა წარმოდგენილი.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრა წარმოდგენილი სახით 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 1

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

მიღებულია განკარგულება N37

(განკარგულება თან ერთვის)

22. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 11 მაისის N114-11422131124 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით, ქ.ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა N30-ის მიმდებარედ არსებული 150 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.42.11.295) 60.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ ,,ხ. გოლიაძე“) - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლაშა ხახუტაიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 2021 წლის 01 თებერვალს ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და ფიზიკური პირი ხათუნა გოლიაძეს შორის გაფორმებული იქნა N01-45/15 საიჯარო ხელშეკრულება, რომლის თანახმად მოიჯარე მხარეს იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთში, თავისუფლების ქუჩა N-30-ის მიმდებარედ მდებარე 150,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.42.11.295) 60 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ავტოსამრეცხაოს მოწყობის მიზნით.

წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 1200 (ათასორასი) ლარის ოდენობით. საიჯარო ვადის დასრულების შემდგომ, ხათუნა გოლიაძემ მომართა მერიას განცხადებით და მოითხოვა ქ. ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა N30-ის მიმდებარედ 150,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 20.42.11.295) პრივატიზება აუქციონის ფორმით, ბიზნესის გაფართოების მიზნით. აღნიშნული საკითხი განხილული იქნა 2022 წლის 12 აპრილს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის, განკარგვის ფორმებისა და პირობების განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომაზე და კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია (N01-11/3 ოქმის 23-ე საოქმო გადაწყვეტილება) ხათუნა გოლიაძის თხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილება, კერძოდ დაინტერესებულ პირს უარი ეთქვა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა N30-ის მიმდებარედ მდებარე 150,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 20.42.11.295) აუქციონის ფორმით პრივატიზებაზე, ხოლო კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილის 60,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემაზე 2 (ორი) წლის ვადით, ავტოსამრეცხაოს მოწყობის მიზნით. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას შესაძლებლად მიაჩნია ზემოხსენებული უძრავი ქონების წლიური საიჯარო საფასურის ოდენობა განისაზღვროს 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

ლაშა ხახუტაიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი განხილული იქნა კომისიის სხდომაზე, კომისის წევრებს შენიშვნები არ გააჩნიათ და მიზანშეწონილად მიაჩნიათ იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით ქ.ქობულეთში, თავისუფლების ქუჩა N30-ის მიმდებარედ არსებული 150 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.42.11.295) 60.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემა, ხოლო წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1200 ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

მიღებულია განკარგულება N38

(განკარგულება თან ერთვის)

23. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის მ/შ 2022 წლის 10 მაისის N114-11422130131 მომართვა-ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ჩაქვში დუმბაძის ქუჩა N12-ში მდებარე 1287.0 არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 20.48.04.048) ნაწილის, კერძოდ 178.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემის შესახებ (ფ/პ ,,მ.გაბაიძე“) - მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი ზურაბ ამაღლობელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მამია გაბაიძე ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში, წერეთლის ქუჩა N12ბ-ში კერძო საკუთრების უფლებით ფლობს 1319,0 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (ს/კ 20.48.04.017), რომელსაც არ გააჩნია მისასვლელი გზა, არც სერვიტუტი, რის გამოც სამომავლოდ ნაკვეთის განვითარება სამშენებლო კუთხით შეუძლებელია. განმცხადებლის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს ესაზღვრება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ჩაქვში დუმბაძის ქუჩა N-12-ში მდებარე 1287,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.48.04.048), რომლის ნაწილის, კერძოდ 178 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სერვიტუტით დატვირთვას ითხოვს განმცხადებელი. აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა 2022 წლის 12 აპრილს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის, განკარგვის ფორმებისა და პირობების განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომაზე და კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია (N01-11/3 ოქმის მე-20 საოქმო გადაწყვეტილება) მამია გაბაიძის თხოვნის დაკმაყოფილება და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ჩაქვში დუმბაძის ქუჩა N12-ში მდებარე 1287,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 20.48.04.048) ნაწილზე, კერძოდ 178,0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს უსასყიდლო საჯარო სამართლებრივი უფლების სერვიტუტის რეგისტრაცია მამია გაბაიძის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან (ს/კ 20.48.04.017), მისასვლელი გზით უზრუნველყოფის მიზნით, წარმოდგენილი აზომვითი ნახაზისა და კონფიგურაციის შესაბამისად. სერვიტუტის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2 (ორი) წლის ვადით. ზურაბ ამაღლობელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომაზე დასწრების შემდგომ გავიდა საკითხის ადგილზე შესასწავლად და მიმდებარედ მოსახლეობა აღმოჩნდა წინააღმდეგი სერვიტუტით დატვირთვის, ასევე სერვიტუტით დასატვირთად წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ძველი მუსიკალური სკოლა და შესაძლოა მოინახოს სხვა ალტერნატიული გზა განმცხადებლის დასაკმაყოფილებლად.

ამიტომ შემოვდივარ წინადადებით, რომ განცხადებით წარმოდგენილ ნაკვეთზე სერვიტუტით დატვირთვას ეთქვას უარი.

გიორგი გოგიტიძე - მეტი კომპეტენტურობა გამოიჩინოს მერიამ საკრებულოსთან მიმართებაში. მსგავს საკითხებზე დროულად დააფიქსირეთ თქვენი პოზიციები და დროულად შეისწავლედ საკრებულოში გადმოგზავნამდე, რადგან საკრებულოს შესაბამისმა კომისიამ იმსჯელა ამ საკითხზე და დადებითი დასკვნა დადო, ახლა არასწორი იქნება კომისიის გადაწყვეტილების შეცვლა.

ლაშა ხახუტაიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე, კომისის წევრებს შენიშვნები არ გააჩნიათ და მიზანშეწონილად მიაჩნიათ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ჩაქვში დუმბაძის ქუჩა N12-ში მდებარე 1287.0 არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 20.48.04.048) ნაწილის, კერძოდ 178.0 კვ.მ მიწის ნაკვეთის სერტვიტუტით დატვირთვაზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ჩაქვში დუმბაძის ქუჩა N12-ში მდებარე 1287.0 არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 20.48.04.048) ნაწილის, კერძოდ 178.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

მიღებულია განკარგულება N39

(განკარგულება თან ერთვის)

24. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 19 მაისის N114-11422139130 მომართვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N13 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ - მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსის მ/შ ნათია ბასიაშვილმა,

რომელმაც აღნიშნამ რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის მე-3 პუნქტთ განსაზღვრულია, რომ განაშენიანების დეტალური გეგმის საბოლოო პროექტი მტკიცდება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, აღნიშნული განკარგულება უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად და მიღებულ იქნას დადგენილება „ქალაქ ქობულეთში, მეგობრობის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ.(ს/კ. N20.42.04.705; ს/კ. 20.42.04.269; ს/კ N20.42.04.141; ს/კ N20.42.04.589; ს/კ N20.42.04.614; ს/კ N20.42.04.122; ს/კ N20.42.04.126 და ს/კ N20.42.04.536) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“.

ლაშა ხახუტაიშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშული საკითხი განხილული იქნა კომისიის სხდომაზე, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N13 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N13 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

მიღებულია განკარგულება N40

(განკარგულება თან ერთვის)

25. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 19 მაისის N114-11422139130 მომართვა ქალაქ ქობულეთში, მეგობრობის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს/კ N20.42.04.705; ს/კ 20.42.04.269; ს/კ N20.42.04.141; ს/კ N20.42.04.589; ს/კ N20.42.04.614; ს/კ N20.42.04.122; ს/კ N20.42.04.126 და ს/კ. N20.42.04.536) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე დადგენილების პროექტის შესახებ - მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსის მ/შ ნათია ბასიაშვილმა, რომელმაც აღნიშნამ რომ სამსახურში შემოვიდა შპს ,,ელ კვადრატის“-ს დირექტორის ომარ გირკელიძის 2022 წლის 03 მაისის N06/11422123236-114 განცხადება ქ. ქობულეთში, მეგობრობის ქუჩა N10, N12 და N14-ში მდებარე (ს/კ N20.42.04.614; ს/კ N20.42.04.122; ს/კ N20.42.04.126 და ს/კ N20.42.04.536) მიწის ნაკვეთებზე

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე.

აღნიშნულის შესახებ გაცნობებთ, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N13 განკარგულებით დამტკიცდა „ქალაქ ქობულეთში, მეგობრობის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს/კ. N20.42.04.705; ს/კ 20.42.04.269; ს/კ N20.42.04.141 და ს/კ N20.42.04.589) მრავალბინიანი საცხოვებელი სახლის მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმა“. იმის გათვალისიწინებით, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის მე-3 პუნქტთ განსაზღვრულია, რომ განაშენიანების დეტალური გეგმის საბოლოო პროექტი მტკიცდება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, აღნიშნული განკარგულება უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად და მიღებულ იქნას დადგენილება „ქალაქ ქობულეთში, მეგობრობის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ.(ს/კ. N20.42.04.705; ს/კ. 20.42.04.269; ს/კ N20.42.04.141; ს/კ N20.42.04.589; ს/კ N20.42.04.614; ს/კ N20.42.04.122; ს/კ N20.42.04.126 და ს/კ N20.42.04.536) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“.

წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს ქალაქ ქობულეთში, მეგობრობის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ.(ს/კ. N20.42.04.705; ს/კ. 20.42.04.269; ს/კ N20.42.04.141; ს.კ. N20.42.04.589; ს/კ N20.42.04.614; ს/კ N20.42.04.122; ს/კ N20.42.04.126 და ს/კ N20.42.04.536) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ და განკარგულების პროექტს „ქალაქ ქობულეთში, მეგობრობის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს/კ. N20.42.04.705; ს/კ 20.42.04.269; ს/კ. N20.42.04.141 და ს/კ N20.42.04.589) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 43-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად აღნიშნულ საკითხს სჭირდება საკრებულოს თანხმობა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქალაქ ქობულეთში, მეგობრობის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს/კ N20.42.04.705; ს/კ 20.42.04.269; ს/კ N20.42.04.141; ს/კ N20.42.04.589; ს/კ N20.42.04.614; ს/კ N20.42.04.122; ს/კ N20.42.04.126 და ს/კ. N20.42.04.536) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე დადგენილების პროექტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

მიღებულია დადგენილება N14

(დადგენილება თან ერთვის)

26. გურამ თამაზაშვილის სახელობის ა(ა)იპ ,,ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ,,მხედრული“-ს 2022 წლის 14 თებერვლის N01-06/5 მომართვა -2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ - მოხსენება გააკეთა ა(ა)იპ ,,ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ,,მხედრული“-ს დირექტორმა ბადრი ცეცხლაძემ რომელმაც აღნიშნა, რომ 2021 წლის დეკემბერში ანსამბლ „მხედრული“-ს დაფუძნებიდან ათი წელი გავიდა, ქვეყანაში მიმდინარე რთული ეპიდ სიტუაციის გამო, 2021 წელს ვერ განხორციელდა ვერანაირი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ღონისძიება, რეპეტიციები მიმდინარეობდა შეზღუდულად. ანსამბლ „მხედრული“-ს ბიუჯეტი - გურამ თამაზაშვილის სახელობის ა(ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „მხედრული“-ს 2021 წლის ბიუჯეტი შედგება ქობულეთის მუნიციპალიტეტის სუფსიდიისაგან, რომელიც შეადგენს 220 705ლარს.

2021 წლის ბიუჯეტში:

- ხელფასის ფონდი შეადგენდა - 200 5200 ლარი;
- პრემია 8355 ლარი;
- შრომის ანაზღაურება სულ - 208 875;
- საქონელი და მომსახურების ხარჯი - 6 580 ლარი;

  მათ შორის :
- ოფისის ხარჯი – 5 780 ლარი;
- არაფინანსური ხარჯი - 5 250;

ანსამბლ „მხედრული“-ში დასაქმებულები და მათი მოვალეობები

ანსამბლ „მხედრული“-ს საშტატო ერთეული და სახელფასო ნიხრი 2021 წლისათვის:

- დირექტორი - 650 ლარი;
- ბუღალტერი - 400 ლარი;
- მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში - 380 ლარი;
- მნე - 350 ლარი;
- ვიზაჟისტი - 300 ლარი;
- მეგარდირობე - 260 ლარი;
- დამლაგებელი - 260 ლარი;
- სამხატვრო ხელმძღვანელი - 450 ლარი;

- ქორეოგრაფი - 2 X400 ლარი;
- ლოტბარი - 400 ლარი;
- რეპეტიტორი - 2X350 ლარი;
- აკომპანიატორი - 8X350 ლარი;
- მოცეკვავე - 25X280 ლარი;
- მომღერალი - 7X280 ლარი.

გურამ თამაზაშვილის სახელობის ა(ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „მხედრული“-ს წესდებისა და შინაგანაწესის თანახმად ანსამბლის გამართულად მუშაობის საჭიროებებიდან გამომდინარე, შტატების არ არსებობის გამო სიტყვიერი დავალებითა და დირექტორის ბრძანებებით დაკისრებული აქვთ: მთავარ სპეციალისტს იურიდიულ საკითხებში – საქმის მწარმოებლისა და შესყიდვების სპეციალისტის მოვალეობის შესრულება; ბუღალტერს – შესყიდვების სპეციალისტის მოვალეობის შესრულება.

2021 წელი გურამ თამაზაშვილის სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლისათვის იყო საკმაოდ რთული, ანსამბლის თითოეული წევრი დიდი გულმოდგინეობითა და ენთუზიაზმით მუშაობდა, მაგრამ ვერ მოხერხდა მათი წარმოჩენა მაყურებლის წინაშე (ქვეყანაში არსებული რთული სიტუაციის გამო). ვიმედოვნებთ, რომ 2022 წელი უფრო ნაყოფიერი და უკეთესი ადამიანური რესურსების მომტანი იქნება ანსამბლი „მხედრული“-სათვის, რომელიც კიდევ ერთხელ იტყვის ღირსეულ სიტყვას დიდ ვოკალურ-ქორეოგრაფიულ ტრადიციების მქონე საქართველოს ისტორიაში.

ლია შაქარიშვილი დაინტერესდა მიმდინარე გეგმები რა აქვს ანსამბლს?

ბადრი ცეცხლაძე - ამჟამად ანსამბლი აქტიურ რეჟიმში მუშაობს. სამწუხაროდ დამოუკიდებლობის დღისთვის ვერ მოხერხდა სცენის ჩამოტანა და ცენტრალურ პარკში დაგეგმილი გრანდიოზული კონცერტი გადაიდო.

დავით წულუკიძე - ქობულეთს ჰყავს სიმღერისა და ცეკვის ისეთი ანსამბლი, რომელიც ნებისმიერი დონის საქვეყნოდ ცნობილ ანსამბლს გაუტოლდება. აუცილებლად მოვაწყოთ საღამო ადგილობრივი მაყურებლისთვის, მოვახერხოთ შესაბამისი სცენის მოწყობა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ,,ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ,,მხედრული“-ს 2021 წლის შესრულების ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

27. ა(ა)იპ ,,ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ს 2022 წლის 25 თებერვლის N35-1142205647 მომართვა -2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ - მოხსენება გააკეთა ა(ა)იპ ,,ქობულეთის საბავშვო გაერთიანება“-ს დირექტორმა ია ხალვაშმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ 2021 წლის დასაწყისიდან სტრუქტურით აერთიანებს 29 საბავშვო ბაღს. ბიუჯეტი დაგეგმილი 3135 აღსაზრდელზე. 2021 წლის დასაწყისში გაერთიანებაში ჩარიცხული იყო 2320 აღსაზრდელი, 2021 წლის ბოლოს ჩარიცხულ აღსაზრდელთა რაოდენობამ შეადგინა 2400. ბაღების აღსაზრდელთა ნაკლებად დატვირთვა გამოწვეული იყო პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებით.

აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებს, გაერთიანების ადმინისტრაციის ჩათვლით, ემსახურება გაერთიანების საშტატო განრიგით დამტკიცებული 529 და შტატგარეშე მუშაკის სტატუსით 24 თანამშრომელი.

ა(ა)იპ ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ს 2021 წლის ბიუჯეტი წლის დასაყისში განისაზღვრებოდა 4 283 170 ლარით. წლის განმავლობაში ბიუჯეტმა განიცადა ცვლილება. წლის ბოლოს 2021 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 4 421 924 ლარი. 2021 წლის ბიუჯეტის შესრულებამ შეადგინა 4 394 086 ლარი, რაც დამტკიცებული ბიუჯეტის 99% შეადგენს.

2021 წლის ბიუჯეტის 61 %–ს შეადგენს შრომის ანაზღაურება 2 713 874 ლარით და 25%-ს კვების მუხლი 1 091 660 ლარით.

შრომის ანაზღაურება განისაზღვრება საშტატო განრიგით და ის წლის განმავლობაში ცვლილებებს თითქმის არ განიცდის, მაგრამ აქვე მოგახსენებთ რომ 2021 წლის სექტემბერში შრომის ანაზღაურება გაიზარდა თითოეულ თანამშრომელზე საშუალოდ 100 ლარით.

რაც შეეხება კვების თანხას, წინა ბიუჯეტის შედგენის დროს თვეში ერთი ბავშვის კვების ხარჯვისთვის გამოიყოფოდა 35 ლარი, რაზედაც შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო სიმბოლური თანხა, ვინაიდან აღნიშნული თანხით გაერთიანება იძულებულ იყო შეეძინა მხოლოდ ის საკვები პროდუქტები, რომლებიც მინიმალურ დონეზე უზრუნველყოფდა ბავშვისათვის მისაღები აუცილებელი კალორიების ნორმას. აღნიშნული თანხა აგრეთვე ვერ ითვალისწინებდა ფასების ზრდას წინა წლებთან შედარებით ან/და წლის განმავლობაში, რის გამოც იზრდებოდა რისკები მოწოდებული პროდუქტების ხარისხთან დაკავშირებით. აღნიშნული პრობლემა 2021 წლის ბიუჯეტის შედგენის

დროს მუნიციპალიტეტის მიერ იქნა გათვალისწინებული და თვეში ერთი ბავშვის კვების ხარჯი განისაზღვრა 80 ლარით.

2021 წლის დასაწყისში იანვარ–თებერვლის თვეში პანდემიასთან დაკავშირებით განხორციელდა ბაღების დაკეტვა, რის შედეგადაც კვების მუხლიდან 2320 ბავშვზე გაიცა სრული 80-80 ლარიანი სასურსათო კალათა და კვების პროდუქტების ხარჯმა შეადგინა 294 454 ლარი, მარტის თვიდან სრულიად აღსდგა ბაღების ფუნციონირება, მართალია ნაკლები დატვირთვით, მაგრამ ყველა ბაღი გაიხსნა, იყო პერიოდული დახურვებიც, რამაც წლის განმავლობაში გამოიწვია კვების მუხლში ეკონომია (საწყისი ბიუჯეტით კვება განისაზღვრებოდა 1 440 000 ლარით, ხოლო წლის ბოლოს შეადგინა 1 091 660 ლარი). ასევე წლის ბოლოს დეკემბრის თვეში 2400 ბავშვზე გაიცა საახალწლო ტკბილეულის კალათა 86 880 ლარის ღირებულებით. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წლის განმავლობაში კვების პროდუქტების შესყიდვაზე დახარჯულ იქნა 1 085 211 ლარი.

რაც შეეხება ბიუჯეტის სხვა მუხლებით გაწეულ ღონისძიებებს:

შტატგარეშე მუშაკთა ანაზღაურებაზე დაიხარჯა 24600 ლარი, შტატგარეშე მუშაკის სტატუსით გაერთიანებაში გათბობის სეზონის განმავლობაში დასაქმებულია 24 ადამიანი.

საკანცელარიო ხარჯებმა შეადგინა 16500 ლარი, აღნიშნული ხარჯი მოიცავს, როგორც ადმინისტრაციისათვის განკუთვნილ საკანცელარიო საქონელს, ასევე საბავშვო ბაღებისათვის სხვადასხვა სახარჯო მასალებს, მთელი წლის განმავლობაში, პანდემიის დროსაც ადმინისტრაცია თითქმის სრული დატვირთვით მუშაობდა, ხოლო ბაღები კი რეგულარულად ონლაინ გაკვეთილებს ატარებდა იანვარ-თებერვლის თვეში.

კავშირგაბმულობის ხარჯმა შეადგინა 3400 ლარი, აქედან (მობილური კავშირი) 2650 ლარი, ინტერნეტი 750 ლარი. კომუნალური ხარჯები 226 849 ლარი, რაც მოიცავს ელექტრო ენერგიის, წყლის, კანალიზაცია–ასინილიზაციის, ბუნებრივი და თხევადი აირის, გათბობის მიზნით შეძენილი საწვავის ნედლეულის ხარჯებს, კერძოდ: დიზელი 30320 ლარი და 69600 ლარი შეშა ბერკეტი, ნაწილი გახარჯულია და ნაწილი კი ნაშთის სახით ინახება შესაბამის ბაღებში.

ოფისისათვის საჭირო საგნები და მასალების ხარჯი 21880 ლარი. აღნიშნული მუხლი მოიცავს სხვადასხვა სანიტარულ–ჰიგიენური საგნების შეძენას.

ორი ახალი ბაღისათვის (ხალა და ალამბარი) შეძენილ იქნა ბაღის ავეჯი 71820 ლარის, 18700 ლარის ავეჯი კი არსებული ბაღებისათვის. ასევე ახალი ბაღებისათვის შევიძინეთ 10580 ლარის სხვადასხვა სამზარეულოს ჭურჭელი და ნივთები, 14434 ლარის სამზარეულოს ჭურჭელი და ნივთები კი არსებული ბაღებისათვის.

შენობა ნაგებობის რემონტის ხარჯში გაიხარჯა 9998 ლარი, რაც მოხმარდა ბაღებში სხვადასხვა სარემონტო სამუშაოებს.

საოფისე ტექნიკის მიმდინარე რემონტის ხარჯმა შეადგინა 10000 ლარი, რაც მოხმარდა ბაღებში დაზიანებული ბოილერების რეაბილიტაციას.

წლის განმავლობაში რეგულარულად ხორციელდება სადეზინფექციო და სადერატიზაციო სამუშაოები, რაზედაც დახარჯულ იქნა 9840 ლარი.

სამედიცინო მასალებისათვის დაიხარჯა1999 ლარი.

ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯში დახარჯულ იქნა 20 454 ლარი. კერძოდ საწვავ–საპოხი მასალების შეძენის ხარჯი განისაზღვრა 17 550 ლარით, მიმდინარე რემონტის ხარჯი 2900 ლარით.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება განისაზღვრა 34 937 ლარით. აქედან 7540 ლარი წყლის ლაბორატორიული შემოწმების ხარჯია, 1925 ლარი სატენდერო მოსაკრებლის, ხოლო 18000 ლარი კი საჩინოს ბაღის იჯარის თანხა.

ქ. ქობულეთის N1 საბავშვო ბაღისათვის დაიწყო ახალი შენობის მშენებლობა იმავე ადგილას, სადაც განთავსებული იყო, 9 აპრილის ქუჩაზე. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ქ.ქობულეთის №1 საბავშვო ბაღი დროებით განთავსებულ იქნა იჯარით აღებულ ქონებაში, მდებარე: ქ.ქობულეთი, თამარ მეფის სანაპირო №52, რომელიც მოძიებულ იქნა და შეთანხმებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთობლივად. საიჯარო თანხამ შეადგინა 15000 ლარი.

არაფინანსური აქტივის ხარჯი განისაზღვრა 55 150 ლარით. კერძოდ ს.ხალას და ს.ალამბრის ახალი საბავშვო ბაღებისათის შეძენილ იქნა 4 მაცივარი 6000 ლარის, 2 საყინულე მაცივარი 2000 ლარის, 2 ტელევიზორი 2000 ლარის, 2 გაზქურა 1440 ლარის, 4 ხორცსაკეპი მანქანა 5640 ლარის, 6 ჭურჭლის სარეცხი მანქანა 5970 ლარის, 2 სარეცხი მანქანა 1960 ლარის, 2 მუსიკალური ცენტრი 1290 ლარის. ასევე აღნიშნული ახალი საბავშვო ბაღებისათვის 27000 ლარი დაიხარჯა ახალი ავეჯის შესაძენად.

ასევე შეძენილ იქნა ადმინისტრაციისათვის 1 ერთეული პერსონალური კომპიუტერი 1200 ლარის და 1 ერთეული პრინტერ-სკანერის აპარატი 650 ლარის ღირებულების.

საბავშვო ბაღების საქმიანობაზე რეგულარულ მონიტორინგს აწარმოებს სურსათის უვნებლობის სამსახური, რომლის მიერაც რიგი საბავშვო ბაღების მიმართ სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო გაიცემა შენიშვნები და რეკომენდაციები. აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, გაერთიანებას ესაჭიროება მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურის თანადგომა, კერძოდ

ინფრასტრუქტურული კუთხით, ვინაიდან აღნიშნული საკითხი საჭიროებს მუდმივ განახლებას, რათა დაცულ იქნას ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული პირობები ბაღის სათანადო ფუნქციონირებისათვის.

ლია შაქარიშვილი დაინტერესდა გაერთიანების მიმდინარე საქმიანობით, რამდენ ბაღს უტარდება რეაბილიტაცია?

ია ხალვაში - რეაბილიტაცია არცერთ ბაღში არ მიმდინარეობს, ახალი ბაღები შენდება. ახალი სტანდარტები ძველ შენობობს ვერ მოერგება, ამიტომაც აზრს კარგავს რეაბილიტაციის პროცესი. ჩაქვი არის საკმაოდ დიდი დაბა და ერთი ბაღის დამატება იგეგმება სამომავლოდ ჩაქვში.

დავით წულუკიძე - ნამდვილად დიდ საქმეს ემსახურება ბაღების გაერთიანება და წარმატებები მომავალშიც.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ,,ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ს 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

კენჭისყრისშედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

28. ა(ა)იპ ,,ქობულეთის სახელოვნებო სკოლა“-ს 2022 წლის 22 თებერვლის N3 მომართვა -2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ- მოხსენება გააკეთა ა(ა)იპ ,,ქობულეთის სახელოვნებო სკოლა“-ს დირექტორმა ციალა კაკალაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ სახელოვნებო სკოლა რაიონის კულტურის ერთ-ერთი მამოძრავებელი ნაწილია. აქ ჩვენი მომავალი თაობა ეზიარება ხელოვნებას, ესთეტიკას, მუსიკას, მხატვრობას და ა.შემდეგ. გამომდინარე აქედან ჩვენი ვალდებულებაა ახალგაზრდა თაობის სწორედ, რომ ესთეტიკურად, ჰარმონიულად აღზრდის საკითხი დავაყენოთ მაღალ დონეზე, რასაც შესაბამისად ვახერხებთ კიდეც.

ქობულეთის სახელოვნებო სკოლა მოიცავს სოფელ ხუცუბნის, ბობოყვათის და დაბა ჩაქვის განყოფილებებს. სკოლაში დასაქმებულია 107 თანამშრომელი. აქედან მოსწავლეთა აღზრდას ემსახურება 89 პედაგოგი.

სახელოვნებო სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტი სულ შეადგენს 476 მოსწავლეს. მათ შორის: ქობულეთის სახელოვნებო სკოლაში -241 მოსწავლე, ხუცუბნის განყოფილებაში -101 მოსწავლე, ბობოყვათის განყოფილებაში -57 მოსწავლე, ჩაქვის განყოფილებაში -77 მოსწავლეა.

2021 წლის სკოლის ბიუჯეტი შეადგენდა 473848 ლარს. აქედან შრომის ანაზღაურება შეადგენდა 453740 ლარს, აქედან 17315 პრემია. შტატგარეშე მოსამსახურეთა ხელფასი 2760 ლარს, აქედან 140 ლარი პრემია. ოფისის ხარჯი 11207 ლარს. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება -1995 ლარს. არაფინანსური აქტივები 4146 ლარს, რაც დაიხარჯა ქობულეთის სკოლის ბუნებრივი აირის შეყვანასა და ცენტრალური გათბობის სისტემის ნაწილობრივ მონტაჟში. და 1700 ლარი მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენაში.

სახელოვნებო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საგუნდო, საორკესტრო სამხატვრო განყოფილებები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფოლკლორის განვითარებას. ჩამოყალიბებულია ვაჟთა და გოგონათა ფოლკლორული ანსამბლები. მოსწავლეები ეუფლებიან სხავადასხვა ხალხურ საკრავებზე დაკვრას: ფანდური, ჩონგური, სალამური, გიტარა, ტამტამი. ჩამოყალიბებულია საესტრადო ბენდი. ისწავლება ვიოლინოზე, ელექტრო გიტარაზე, დრამზე, სინთეზატორზე და ჩასაბერ ინსტრუმენტებზე (საყვირი, საქსაფონი, ტრომბონი) დაკვრა.

სკოლაში არჩეულია საგნობრივი მეთოდური კომისიები: საფორტეპიანო, თეორიული და საგუნდო განყოფილებების მეთოდური კომისიები, რომლებიც შედგენილი გეგმით ატარებენ მეთოდურ მეცადინეობებს, ღია გაკვეთილებს, დახურულ და ღია კონცერტებს. ასევე ვატარებთ გასვლით საჩვენებელ გაკვეთილებს და მეთოდურ მეცადინეობებს ხუცუბნის, ბობოყვათის და ჩაქვის განყოფილებებში.

ქვეყანაში ვირუსული ინფექცია COVID-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებთ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სკოლებში სწავლება მიმდინარეობდა დისტანციურ რეჟიმში. სკოლის ხელმძღვანელობისა და მეთოდ. კომისიის მიერ ხდებოდა გაკვეთილების დისტანციურ რეჟიმში გაკონტროლება. ასევე დისტანციურ რეჟიმში მოხდა ჩათვლებისა და გამოცდების მოსმენა. რაც რათქმა უნდა არ არის სრული პროდუქტი, რადგან ხელოვნებაში სავალდებულოა მოსწავლეებთან ახლო კონტაქტი. მიუხედავად აღნიშნულისა, სახელოვნებო სკოლამ შეძლო დადგენილ სტანდარტებზე ფუნქციონირება და შესაბამისი შედეგების მიღწევა.

სკოლაში ჩავატარეთ დახურული კონცერტები, შემოწმებები. ნაწილობრივად მიმდინარეობდა ონლაინ. ჩავატარეთ საახალწლო ღონისძიება. მოსწავლეებს დავურიგეთ საახალწლო საჩუქრები. სულ მალე ქვეყანა დაუბრუნდება ნორმალური ცხოვრების რიტმს. სახელოვნებო სკოლა მუდამ იმოღვაწეებს ახალგაზრდობის ესთეტიკურად აღზრდის საქმეში. მართალია ბოლო ორი წელი პანდემიის გამო

სკოლა ვერ მუშაობდა წინა წლებთან შედარებით იმ დონეზე. სკოლა ყველა წელიწადს მონაწილეობდა ფესტივალებსა და კონკურსებში. მიღებული გვაქვს სხავადასხვა ჯილდოები, 10 ოქროს მედალი.

სკოლაში ფუნქციონირებს ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი, საგალობელთა ჯგუფი, კლასიკური გუნდი, საორკესტრო ჯგუფი. რომლებიც ხშირად მონაწილეობდა სხავადასხვა კონკურსებში და ფესტივალებში. სადაც თითქმის ყოველთვის ოქროს მედლის მფლობელები ვიყავით; ასევე ვმონაწილებდით ყველა წელს აჭარის სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადაში. აქაც ოქროს მედალს ვღებულობით. სწორედ ამიტომ, ქართულ ნაციონალურ ფორმებს 4 წელი მონაწილეებს უფასოდ უკერავდნენ.

არ შემიძლია მადლობა არ გადავუხადო რაიონის მერიას, საკრებულოს, ჩვენზე მუდმივი ზრუნვისათვის. მათ მიერ შეუფერხებლად ფინანსდება მასწავლებელთა ხელფასები, სხვა საჭირო-სავალდებულო ინვენტარით მოწყობილობის შეძენა.

მერიის მიერ სახელოვნებო სკოლა დამონტაჟებულ იქნა გათბობით, რამაც მასწავლებლებს და მოსწავლეებს შეუქმნა შესაშური კომფორტი, რაზედაც კიდევ ერთხელ მადლობა მერიას და საკრებულოს.

რაც შეეხება სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას: სკოლას გააჩნია კეთილმოწყობილი დარბაზი, საკლასო ოთახები, მუსიკალური (საესტრადო და ხალხური) ინსტრუმენტები. მაგრამ სკოლა მოითხოვს კოსმეტიკურ რემონტს: გარე ფასადის შეღებვას და ეზოს კეთილმოწყობას. ასევე სახურავის შეცვლას. კაპიტალურ რემონტს მოითხოვს ხუცუბნის განყოფილების სკოლის შენობა. შესაძენია ახალი ინვენტარი. ჩაქვისა და ბობოყვათის განყოფილებები არენდით განთავსებულია შესაბამის საჯარო სკოლის შენობებში.

ციალა კაკალაძემ დეპუტატები 26 მაისისადმი მიძღვნის ღონისძიებაზე დაპატიჟა სახელოვნებო სკოლაში.

დავით მჭედლიშვილმა წარმატებები უსურვა სახელოვნებო სკოლას სამომავლო საქმიანობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ,,ქობულეთის სახელოვნებო სკოლა“-ს 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

29. შპს ,,სარაგბო კლუბი პონტო“-ს 2022 წლის 01 მარტის მომართვა -2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ - მოხსენება გააკეთა შპს ,,სარაგბო კლუბი პონტო“-ს დირექტორმა თემურ ანანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ კლუბის ძირითადი საქმიანობა 2021 წლის წარმოადგენდა ვარჯიშების ჩატარებას, რომელიც აუცილებლად შეთანხმებულ იყო საქართველოს რაგბის კავშირის, პანდემიის მართვის დეპარტამენტთან.

- 2021 წელს მწვრთნელებმა გაიარეს საქართველოს რაგბის კავშირის მიერ დადგენილი სამწვრთნელო სერთიფიცირების პირველი დონე.
- 2021 წელს მივიღეთ საქართველოს რაგბის საფესტივალო ლიგაში მონაწილეობა ყველა თამაშზე. ასევე ბ-ლიგის (ჭაბუკთა) თამაშებში, რომელშიც გვიკავია მე-8 ადგილი.
- 2021 წელს კლუბი თავის საქმიანობას ახორციელებდა ხუცუბნის და ფიჭვნარის მოედნებზე, აღნიშნული მოედნები გასახდელებითურთ საჭიროებს რემონტს სახურავის დაზიანების გამო.
- ასევე სტადიონებს არ გააჩნია საპირფარეშოები და აბაზანა.
- კლუბში არსებობს 12 საშტატო ერთეული. 2-ადმინისტრაცია, 8-მწვრთნელი, 2- დამხმარე პერსონალი.
- 2021 წელს კლუბში ირიცხებოდა 210 მორაგბე, 4 სხვადასხვა ასაკობრივი თანმიმდევრობის მიხედვით
- 2021 წელს შ.პ.ს „სარაგბო კლუბ პონტო“-ს მთლიანი ხარჯი შეადგენდა 102063,2ლარს.
- 2021 წელს შეძენილი იქნა ჭაბუკთა ლიგის მორაგბეთა სპორტული უნიფორმები.

თემურ ანანიძემ ისაუბრა ასევე იმ საჭიროებებზე, რაც კლუბის წინაშე დგას და დროულ მოგვარებას საჭიროებს - დაწყებული მინდვრის საფარით, გასახდელებით დასრულებული.

თედო ტაკიძე დაინტერესდა არის, თუ არა რაიმე წინსვლა წარმოდგენილ პრობლემებთან მიმართებაში მიმდინარე წელს გასულ წელთან შედარებით.

თემურ ანანიძე - ველოდებით ცვლილებებს და უკეთესის მოლოდინი გვაქვს.

ლია შაქარიშვილმა წარმატებები უსურვა სარაგბო კლუბს სამომავლო საქმიანობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა შპს ,,სარაგბო კლუბი პონტო“-ს 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 წევრი.

ია მესხიძემ განაცხადა, რომ რამდენიმე ოჯახის პრობლემის შესახებ სურს საუბარი, სოფელ კვირიკედან და სოფელ წყავროკადან. სოფელ კვირიკეში მამუკა და ნესტან სურმანიძეები, სადაც ქალბატონი ავადობს და მუდმივ მკურნალობას საჭიროებს, ოჯახს აქვს ფინანსური პრობლემები, მკურნალობა დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და მიუხედავად იმისა რომ დაფინანსებას ღებულობს ეს ქალბატონი და ხელი ეწყობა მუნიციპალიტეტიდან, ეს მაინც არ არის საკმარისი. მკურნალობას გადის თბილისში და მგზავრობის ხარჯის ნაწილში დახმარებას ითხოვს. ასევე, 3 მარტს მომხდარმა ქარიშხალმა დააზიანა მათი საცხოვრებელი სახლი და სველი წერტილი, რომელიც აივანზე იყო დაიშალა და დახმარებას ითხოვს, რომ დაიდგას სველი წერტილი. რაც შეეხება სოფელ წყავროკას, საუბარია ჯიხანჯურის მოსაზღვრე ნაწილში ბერიძეების და გაბაიძის ოჯახებზე, წაქცეულია დენის ბოძები და მოუწესრიგებელია სანიაღვრეები. მოვარდნილი ნიაღვარი ერთ-ერთი ოჯახის პირველ სართულზე გადის და საბოლოოდ სავალალო შედეგის წინაშე აღმოვჩნდებით. ვეღარ სარგებლობენ მოსავლით და ბაღჩეულით. ოჯახები ითხოვენ, რომ გაკეთდეს სანიაღვრე. ასევე, ჩვენ გავაკეთეთ ინიცირება სანაპირო ზოლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით და ამ მიმართულებით რა მდგომარეობაა? თუ მიეცა მსვლელობა ჩვენს ინიციატივას, მითმეტეს როცა ტურისტული სეზონი აქტიურ ფაზაში შედის.

ნათია თხილაიშვილმა სოფელ კვირიკეში სურმანიძეების ოჯახთან დაკავშირებით უპასუხა, რომ ეს ქალბატონი პროგრამულადაც და მერიის სარეზერვო ფონდიდანაც დაფინანსებულია და ერთ პიროვნებას მრავალჯერადად ვერ დააფინანსებს მუნიციპალიტეტი. სველ წერტილს, რაც შეეხება, ხარჯთაღრიცხვა გააკეთა ინფრასტრუქტურის სამსახურმა და დაერიცხება შესაბამისი თანხა.

სოფელ წყავროკაში დასახელებულ პრობლემებთან დაკავშირებით თედო ტაკიძემ განაცხადა, რომ მოქალაქეებს თვითნებურად ისე აქვთ შეღობილი მიწის ნაკვეთები, რომ სანიაღვრეების გაკეთების საშუალება არ მიეცა შესაბამის სამსახურს. გზა არის ძალიან ვიწრო და არასწორად შეღობილი, ეს ღობეები უნდა მოიშალოს, რომ გაკეთდეს სანიაღვრეები.

დავით მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ სანაპირო ზოლთან დაკავშირებულ საკითხს რაც შეეხება, საკრებულოს სხდომის ოქმი გადაგზავნილია მერიაში და შესაბამისი რეაგირება მოჰყვება მათი მხრიდან.